



TBILISI HUMANITARIAN
TEACHING UNIVERSITY

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

სხდომის ოქმი №5 / 2017

თბილისი

10 მარტი 2018 წ.

სხდომის დაწყების დრო: 15.00

სხდომის დასრულების დრო: 16.00

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ვალენტინა საყვარელიძე – აკადემიურის საბჭოს თავმჯდომარე, თჰუ რექტორი;
2. კახი ყურაშვილი (სამართლის ფაკულტეტი);
3. თამარ ლალიაშვილი (სამართლის ფაკულტეტი);
4. ილონა საყვარელიძე (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
5. მაკა კაჭარავა (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
6. ირინა ჯობავა (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
7. ირმა დიხამინჯია (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
8. მადონა გელაშვილი (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი).

ქვორუმი: 5

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. ვალენტინა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: პროფ. კახი ყურაშვილი

დღის წესრიგი:

1. თჰუ დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე (მომხ. კ.ყურაშვილი)

მოისმინეს:

პროფ. კახი ყურაშვილის ინფორმაცია, საქართველოს კანონმდებლობაში შესული ცვლილებებისა და ასევე, მოდიფიცირებული თჰუ ადმინისტრაციის (ადმინისტრაციული სამსახურის) დებულების შესაბამისად, უნდა მოდიფიცირდეს თჰუ დებულებაც. კერძოდ რედაქტირებულ უნდა იქნას თჰუ დებულების შემდეგი მუხლები: მომხსენებელი კითხილობს ცვლილებებს:

- 1) მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული აქვს, სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას;“

- 2) მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული აქვს, სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას;“

- 3) მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ და „ბ.ბ.“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) რომელიც არის დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება და ბოლო 5 წლის მანძილზე გამოქვეყნებული აქვს, სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას;“

„ბ.ბ) გამოქვეყნებული აქვს ბოლო 5 წლის განმავლობაში სულ ცოტა 2 პუბლიკაცია, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას და აქვს სამეცნიერო ან პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება.“

4) მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) არის დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან არის დოქტორანტი ან/და გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, რომელიც დასტურდება პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით; შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ჩაითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც დასტურდება შემდეგნაირად:

- აქვს პროფესიული გამოცდილების 2 წლიანი სტაჟი და სპეციალური მომზადება, ან/და
- გამოქვეყნებული აქვს ბოლო 5 წლის განმავლობაში პუბლიკაცია, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას.“

5) მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია (ადმინისტრაციული სამსახური) აერთიანებს შემდეგ მიმართულებებს:

- კანცელარია;
- ბუღალტერია;
- საერთაშორისო ურთიერთობები და უცხოელ სტუდენტთა მხარდაჭერა;
- სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- ადამიანური რესურსების მართვა;
- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
- უსაფრთხო გარემო;
- არქივი;
- კარიერული განვითარება და სტუდენტური მხარდაჭერა;
- სამეცნიერო კვლევები.“

პროფ. ვ.ყურაშვილმა წარმოადგინა მოდიფიცირებული დებულების პროექტი დანართის სახით და აუდიტორიას სთხოვა, რომ მხარი დაუჭიროს მის წინადადებას და მოდიფიცირებული თქუ დებულება (მეორე რედაქცია) დასამტკიცებლად წარუდგინონ თქუ წარმომადგენლობით საბჭოს.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ვ. საყვარელიძემ და პროფ. მ. კაჭარავამ

კენჭისყრის შედეგი: ერთხმად

გადაწყვიტეს:

1. მოწონებულ იქნას და დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს თქუ დებულებაში (მეორე რედაქცია) ცვლილება-დამატებების შეტანის პროექტი – მოდიფიცირებული დებულება, დანართი N1-ის სახით;

2. ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე:

აკადემიური საბჭოს მდივანი:

ვ. საყვარელიძე
ვ. ყურაშვილი

